ს ს ი პ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

16.06.2011 № 57

თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საქართველოს საწარმოო ძალებისა და
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე
კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, ასევე ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების შევსების მიზნით, ამავე ცენტრის დებულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ცენტრის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 9 ივნისის დადგენილების (ოქმი №3) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს კონკურსის პირობები:
1) კონკურსი ჩატარდეს ცენტრის დებულების შესაბამისად;
2) ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაშვებულ იქნან უმაღესი განათლებისა და მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟის მქონე პირები, რომლებიც დადგენილ ვადებში წარმოადგენენ სათანადო განცხადებას ქვემოთ მოყვანილ მოთხოვნათა დაცვით;
3) ცენტრის მიწის, წყლის, ტყისა და ეკოლოგიის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაშვებულ იქნან პირები, ვისაც აქვთ დოქტორის აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.
4) ცენტრის მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაშვებულ იქნან პირები, ვისაც აქვთ დოქტორის აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, ან არის დოქტორანტი.

5) კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ცენტრის სამეცნიერო საბჭოში უნდა წარადგინოს: ა) განცხადება, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს კონკურსანტის CV, ავტობიოგრაფია და მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ასლი); ბ) პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი); გ) 2 ცალი ფოტოსურათი 3X4 სმ.

6) ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ სამოქმედო პროგრამა; ცენტრის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე პირებმა – ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ხოლო ცენტრის მიწის, წყლის, ტყისა და ეკოლოგიის განყოფილების გამგის თანამდებობის დაკავების მსურველმა – განყოფილების განვითარების საკუთარი ხედვა.

7) კონკურსანტის კანდიდატურის განხილვისას, ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ გათვალისწინებულ იქნეს: მის მიერ წარმოდგენილი პროგრამა, ასევე მისი კვალიფიკაციის, გამოცდილების, კომპეტენტურობისა და რეპუტაციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება განხორციელდეს 2011 წლის 1-დან 15 ივლისის ჩათვლით, ყოველ დღე (დასვენებისა და უქმე დღეების გარდა) 10^{30} საათიდან 15^{00} საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ფალიაშვილის ქ.№87, III სართული, ოთახი №315 ტელ.: 2 22 32 16.

3. არჩევნები ჩატარდეს 2011 წლის 26 ივლისს 11^{00} საათზე. იმავე დღეს მოხდეს სამეცნიერო საბჭოს, მიერ კონკურსის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცდება და შედეგების გამოქვეყნდება ცენტრის საინფორმაციო დაფაზე.

4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დაევალოს კონკურსის შესახებ განცხადების გამოქვეყნება ბეჭდვით მედიაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სამეცნიერო დარგში ზ. გასიტაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უროსი ბ. მაისურაძე